ცოდნის ეკონომიკა, როგორც ფორმირებადი ეკონომიკური სისტემა

გურამ ჯოლია, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

XXI საუკუნე განათლების, ცოდნის საუკუნეა.

განვითარებულ ქვეყნებში მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ყურადღება ექცევა მეცნიერებას, განათლებას, ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს.

ცოდნის ეკონომიკის პირობებში ინტელექტუალური კაპიტალის ეფექტური გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აუცილებელია ინვესტიციების მიზანმიმართული დაბანდება. ქვეყანა, რომელიც ცოდნაში არ დააბანდებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, ან საკმარისად არ გამოიყენებს თანამედროვე ცოდნის შესაძლებლობებს, ვერ შეძლებს კონკურენციის გამკლავებას და მდგრად განვითარებას.

„ცოდნის ეკონომიკას“ საკუთარი კვლევის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ასპექტები აქვს.

„ცოდნის ეკონომიკა“ არის როგორც ემპირიული ჰიპოთეზა თანამედროვე საზოგადოების საერთო თავისებურებებისა და ტენდენციების შესახებ. ამასთან, ცოდნა განიხილება, როგორც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების დონე მსოფლიო ქვეყნების მიხედვით მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. დღევანდელი მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3–5% ცოდნის ეკონომიკის რეალიზაციის პირობებში ცხოვრობს.

მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 30%-ს აქვს ცხოვრების შედარებით მაღალი დონე. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მეცნიერების, განათლების, ცოდნის ბაზაზე ვითარდება, სადაც დიდი მოცულობის ინვესტიციები განათლებაში ხორციელდება. კერძოდ, მსოფლიო მშპ-ის 80% იწარმოება 24 ქვეყანაში, სადაც პლანეტის მოსახლეობის 14,5% ცხოვრობს, 15% მოდის 63 ქვეყანაზე 31,5% მოსახლეობით და მშპ-ის მოცულობის მხოლოდ 5% იმ 45 ქვეყანაზე, რომელთა მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 55%-ია.

ცოდნის ეკონომიკის ფორმირებასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანისეულ კაპიტალს ეკუთვნის.

Summary

Knowledge Economy as an Economic System in the Process of Formation

XXI century is a century of education and knowledge.

In developed countries, for sustainable socio-economic development, great emphasis is placed on science, education, and innovative scientific-research projects.

In terms of Knowledge Economy effective use of intellectual capital is of paramount importance. It is essential to make purposeful investments. Country that will not make significant investments in knowledge, or will fail to use opportunities that sheer amount of knowledge offers today, will undoubtedly lose competitive edge and will fail to achieve sustainable development.

“Knowledge Economy” has its own economic, social, political, and legal aspects for research.

“Knowledge Economy” represents an empirical hypothesis about common characteristics and trends for the modern society. In addition, knowledge is viewed as the necessary prerequisite for competitiveness.

Development level of Knowledge Economy varies greatly from a country to another. Only 3-5 % of today’s world population live under circumstances in which knowledge economy is realized.

Only 30% of world population can be said to have a relatively higher standard of living. These are countries which are developing on the basis of science, education, and knowledge, countries in which significant investments are being made in the field of education. 80% of the world GDP is produced in 24 countries, in which only 14.5 % of the world population resides. 15 % is ascribed to 63 countries with 31.5 % of the world population combined, and only 5% is produced by those 45 countries which inhabit 55% of the world population.

In the process of forming and developing Knowledge Economy, human capital is regarded as the decisive asset.

****

XXI-ე საუკუნემ ცოდნის საუკუნის სახელწოდება მიიღო, რაც გამომდინარეობს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მისი როლის ამაღლებიდან. კვლევები ადასტურებს ცოდნის ეკონომიკის ძირეულ განსხვავებას ტრადიციული ეკონომიკისაგან. ეს განსხვავება, უპირველესად მდგომარეობს იმაში, რომ ცოდნა და ინფორმაცია, სხვა რესურსებისაგან განსხვავებით, გამოყენებისას არ მცირდება და არ იცვლის ფორმას. ამასთან, ცოდ-

ნის (ინფორმაციის სახით) გავრცელება შეუზღუდავია, იგი თავისუფლად კვეთს სახელმწიფო საზღვარს და ნებისმიერ ეკონომიკურ სივრცეში გამოიყენება.

მაგალითისათვის, თუ რომელიმე რეგიონში ახალი ცოდნა შეიქმნა, იგი უმოკლეს ვადაში მთელ მსოფლიოში ვრცელდება და მრავალ ადგილას ერთდროულად გამოიყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მსოფლიო ბანკი 1995 წლიდან ატარებს კვლევებს ცოდნის ეკონომიკის სფეროში და მიიჩნევს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ანვითარებენ მეცნიერებას, განათლებას და ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს მდგრად განვითარებას მიაღწევენ.[1]

ცოდნის საზოგადოების ფორმირება მოითხოვს საზოგადოების განვითარების არსებული მოდელების განხილვას, იმ პარამეტრებზე პასუხის გაცემას, როგორიცაა საზოგადოების წევრების შესაძლებლობების არსებობა, ნოვატორული მიდგომა, სიახლეებისა და გამოცდილებათა ფასეულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მდგრადი ეკონომიკური განვითარება უფრო მიზანშეწონილი და ეფექტური მოდელია, რომელიც ცოდნაზეა დაფუძნებული.

ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადი განვითარებისათვის ძირითადი ყურადღება ექცევა მეცნიერებას, განათლებას, ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. მთლიანობაში ცოდნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მძლავრი ინსტრუმენტი ხდება. მისი როლი მეტად დიდია სიღარიბესთან ბრძოლაშიც (ერთ-ერთი მწვავე მსოფლიო პრობლემა). უტყუარია, რომ ცოდნის ეკონომიკის ფორმირება მხოლოდ შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით არ შემოიფარგლება. მთავარია სხვა მასტიმულირებადი მექანიზმების არსებობაც.

ცნება „ცოდნის საზოგადოება“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-ან წლებში წარმოიშვა,[2] როცა პირველად გაჩნდა იდეა „უწყვეტი განათლება ყველას“, „საყოველთაო სწავლების საზოგადოება“. განათლებისადმი ასეთმა საყურადღებო მიდგომამ არსებითი როლი შეასრულა ცოდნის საზოგადოების ფორმირებაში. 1990-ან წლებში ცოდნის ეკონომიკის ტერმინი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანალიტიკურ დოკუმენტებში აისახა და მისი გამოყენებაც აქტიურად დაიწყო.[3]

იუნესკო თავის მოხსენებაში სახელწოდებით „ცოდნის საზოგადოება“ მიიჩნევს, რომ „ცოდნის საზოგადოება ესაა საზოგადოება, რომელიც ეფუნება განვითარების მრავალფეროვან წყაროებსა და განსაკუთრებულ შესაძლებლობებს. ყოველი საზოგადოება ცდილობს ცოდნის სფეროში განსაკუთრებულ უპირატესობას მიაღწიოს. სწორედ ამიტომ ცოდნის ეკონომიკის მოდელის ჩარჩოებში ყოველი საზოგადოებისათვის აუცილებელია ცოდნის ათვისება და გავრცელება“.[4]

ცოდნის საზოგადოებაში ერთობლივი ცოდნის გამოყენება, სოციალურ გარემოში საზოგადოების ყოველი წევრის ინტეგრაცია და მისი განვითარება, სამართლიანობის ახალი ნორმების შემოღება, საზოგადოებრივ ღირებულებათა ერთიან სისტემაში არსებით მნიშვნელობას იძენს. ცოდნის საზოგადოების თვალთახედვიდან გამომდინარე, ესაა ახალი საზოგადოებისათვის ადამიანის აღზრდა, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ახალი სისტემის მდგრადი განვითარებისათვის ხარისხის ფაქტორის ფორმირება. ასეთი ახალი სისტემა საბაზრო ეკონომიკის რეალური ალტერნატივაა. ამ მხრივ მოწინავეობს მაღალგანვითარებული ქვეყნები. მაგ., აშშ-ში წარმოებული მშპ-ის 75% ცოდნასა და ინფორმაციაზე მოდის, სამუშაო ძალის 77% ცოდნის წარმოების სფეროშია დასაქმებული. ფინანსების, დაზღვევისა და უძრავი ქონების სფეროში ინვესტიციების 70%-ს საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოლოგიები შეადგენს.[5] ცოდნის ეკონომიკის დამახასიათებელი ეს თავისებურება საფუძველია სამრეწველო და სანედლეულო ეკონომიკიდან ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლისათვის.

განვიხილოთ ცოდნის ეკონომიკის ფორმირების პირობები. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სიტუაციაში ინტელექტუალური კაპიტალის სწორი და ეფექტური გამოყენება ცოდნის ეკონომიკის ფორმირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. უტყუარია, რომ ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია მოცემულ სფეროში ინვესტიციების მიზანმიმართული დაბანდება, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეკონომიკურ სისტემასთან (ტრადიციული, შერეული, საბაზრო და სხვ.) გვაქვს საქმე. ქვეყანა, რომელიც ცოდნაში არ დააბანდებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, ან საკმარისად არ გამოიყენებს ცოდნის არსებულ შესაძლებლობებს, აქტიურად არ წარმართავს ინოვაციურ პოლიტიკას, ვერ შეძლებს კონკურენციის გამკლავებას და მდგრად განვითარებას.

დღეს მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში მდგრადი ეკონომიკური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ცოდნაში ანუ მეცნიერებასა და განათლებაში მიზანმიმართული ინვესტირებით, რაც შექმნის ცივილიზებულ საზოგადოებას. მსოფლიო განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც მეცნიერებასა და განათლებაში ინვესტიციები არ განახორციელა, ვერც მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ

1 www.sch1929.edusite.ru/

2 Lane R.E. The Decline of Politics and Ideology in the Knowledgeable Society // American Sociological Review. 1966. – Vol. 31. – P. 649-662.

3 охлов Ю. Е. Шапошников С. Б. Экономика, основанная на знании: социально-экономические тенденции и политические цели/http://emag.iis.ru/arc/infosoc/emag.nsf/f0c3e40261f64c5b432567c80065e37

4 К обществам знания. Всемирный Доклад ЮНЕСКО. Изд-во ЮНЕСКО, М., 2005, 239 с.

5 Стриженко А.А. Роль информационно-коммуникационных технологий в развитии международного бизнеса. М., 2007. С. 44.

განვითარებას და ვერც ღირსეულ კონკურენტულ უპირატესობას მიაღწია. პირიქით, ასეთ ქვეყნებში დომინირებს სიღარიბე, სოციალური უთანასწორობა, ჩამორჩენილობა, კორუფცია, გამუდმებით არსებობს ეკონომიკური და სოციალური მუქარები, საგარეო საფრთხეები. ამასთან ერთად, 2—3 წლამდე შემცირდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ცვლილებათა სისწრაფე, რაც მოწინავე ქვეყნებს აიძულებს მეცნიერებისა და განათლების სფეროში კიდევ უფრო მოქნილი და მიზანმიმართული პოლიტიკა გაატარონ.

გლობალურ ეკონომიკაში ცოდნის როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ძალიან სწრაფად იზრდება. ასეთი შეფასება მრავალი ქვეყნის სპეციალისტების მიერ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად დამტკიცებულია. ცოდნის ეკონომიკა ხასიათდება საკუთარი თვისებებითა და ნიმუშებით, შედეგად ინფორმაციის სამრეწველო ტიპი ახალი ინფორმაციითა და მაღალი ტექნოლოგიებით იცვლება, მიკროდონეზე ახალი სტანდარტები და ნიმუშები ყალიბდება.

უნდა აღნიშნოს, რომ დაგროვილი ინტელექტუალური კაპიტალი და ეკონომიკის ტექნოლოგიური ტევადობის ამაღლება, ბაზარზე მეცნიერებატევადი საქონლის წილის ამაღლება, ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანისეული კაპიტალის განსაკუთრებული წონა, ცოდნის მეშვეობით საზოგადოების სამართავად ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ჩარჩოებში რეალიზდება.

ცოდნის ეკონომიკა ესაა ისეთი ეკონომიკა, სადაც უწყვეტად მიმდინარეობს ცოდნის წარმოების, განახლების, გავრცელებისა და გამოყენების პროცესი. შედეგად, ეკონომიკური განვითარების მისაღწევად, რომელიც ცოდნაზეა დაფუძნებული, უპირველესად საჭიროა ამ სოციალური მოვლენის არსის შეცნობა.

როგორც მრავალრიცხოვანი კვლევიდან ირკვევა, სამეცნიერო ბრუნვაში მრავალი ტერმინია დამკვიდრებული: „ცოდნის საზოგადოება“, „ინფორმაციული საზოგადოება“, „ცოდნის ეკონომიკა“, „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“, „ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკა“, „ინფორმაციული ეკონომიკა“, „ინტელექტუალური ეკონომიკა“ და ა.შ.

ეს ტერმინები თითქოს ერთმანეთთან აზრობრივად ახლოსაა, მაგრამ სხვადასხვა ცნებას ასახავს. ცოდნის ეკონომიკის არსის განსაზღვრისათვის აუცილებელია ცოდნის ეკონომიკის თეორიული საფუძვლების ანალიზი. დღეისათვის „ცოდნის ეკონომიკას“ ან „ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას“ საკუთარი კვლევის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი ასპექტები აქვს.

ეკონომიკური თვალთახედვიდან გამომდინარე, „ცოდნის ეკონომიკა“ არის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ეკონომიკის განვითარების მდგრადი ეკონომიკური ტემპებით ეკონომიკის განვითარება;

სოციალური აზრით, ესაა ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანის განვითარების ინდექსის ამაღლება (განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული სიმდიდრის 60—75% ადამიანისეული კაპიტალია);

პოლიტიკური აზრით, ესაა უსაფრთხოების დონისა და ქვეყნის პრესტიჟულობის ამაღლება;

სამართლებრივი კუთხით, ესაა საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის სრულყოფილი და სამართლიანი კანონების მიღება;

საზოგადოებრივი კუთხით, ესაა ქვეყნის მოსახლეობის მსოფლმხედველობის განვითარება, ახალი ეკონომიკისათვის ახალი ადამიანის აღზრდა.[6]

ცოდნის ეკონომიკის ზემოხსენებული ნიშნები ერთმანეთთან მჭიდროდ კორელაციურ კავშირშია ანუ ერთ-ერთი მათგანის განვითარების შენელება ყველა დანარჩენის შეფერხებას იწვევს. მაშასადამე, აუცილებელია კომპლექსური მიდგომა განვითარების აღნიშნული მხარეების გამოყენებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ცოდნის ეკონომიკა“ ან „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“ ხასიათდება როგორც პოზიცია, რომელიც ხელს უწყობს ცოდნასა და ტექნოლოგიებს საზოგადოების მართვაში დაიკაოს გაბატონებული პოზიცია.

ცოდნა, რომელიც განივთებულია ადამიანებში, იმავდროულად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის საფუძველია. სხვა სიტყვებით, ცოდნა, როგორც გონებრივი შრომის შედეგი, საზოგადოებას გადაეცემა ახალი ტექნიკური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების სახით. ეს კი, თავის მხრივ, ყოველ ადამიანში წარმოშობს ახალ ცოდნას, შესაძლებლობას, კრეატიულ მიდგომას, ნოვატორულ უნარს, რაც ამ თვისებების სარეალიზაციოდ შესაბამისი პირობების შექმნას მოითხოვს.

როგორც აღინიშნა, თანამედროვე პერიოდში ტექნიკური და ტექნოლოგიური სწრაფი განვითარების ცოდნა საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დღეს, ვიდრე წინათ, მსოფლიო ეკონომიკა და კაცობრიობა მეტადაა დამოკიდებული ცოდნის წარმოებაზე, გავრცელებასა და გამოყენებაზე. დღეისათვის პროდუქციის წარმოება და დასაქმება ძირითადად ეფუძნება მაღალტექნოლოგიებსა და მაღალპროფესიულ კადრებს ანუ ინტელექტუალურ შრომას. თუ XX საუკუნის დასაწყისში საზოგადოების განვითარება ფიზიკურ შრომას ემყარებოდა (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში), შუა საუკუნეში — მანქანებსა და ტექნოლოგიებს, XXI საუკუნის დასაწყისიდან, როცა დაიწყო საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიული პერიოდი, წამყვანი ადგილი სისტემურმა ცოდნამ დაიკავა. ცოდნის სისტემაზე დაფუძნებულ სფეროებს მიეკუთვნება კომპიუტერები, მთელი ელექტრონიკა, კოსმოსის ათვისება, მიკროელექტრონიკა, ნანოტექნოლოგიები და სხვა. ალბათ, აქვს აზრი, დღევანდელ პერიოდს

6 О необходимости повышения уровня человеческого капитала в России. http:/www.nasledie.ru

ცოდნის ეკონომიკის საწყისი პერიოდი ვუწოდოთ.[7]

თუ აგრარული ეკონომიკის პერიოდში ძირითადი საწარმოო რესურსი იყო ნედლეული, სამრეწველო პერიოდში — ენერგია, პოსტინდუსტრიულ პერიოდში მათი ადგილი ინფორმაციამ (საუბარია სამეცნიერო ინფორმაციაზე) ანუ ცოდნამ დაიკავა. საინტერესოა ისიც, რომ წარმოების აგრარულ პერიოდში საწარმოო საქმიანობა უფრო მეტად ფიზიკურ შრომას ეფუძნებოდა, ინდუსტრიულ პერიოდში — ტექნიკასა და კაპიტალს, პოსტინდუსტრიულ პერიოდში — ცოდნას.[8] შედეგად, ცოდნა და ინფორმაცია პოსტინდუსტრიული პერიოდის წარმოებისა და მთლიანად საზოგადოების ძირითადი რესურსია. ინფორმაციის მიღება და გადამუშავება, რომელიც შემდეგ ახალ იდეებსა და პროდუქციაში ნივთდება, სიღმისეულ ცოდნას მოითხოვს.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა თვით ცოდნას, შემოქმედებასა და ნოვატორობას წარმოქმნის. დღეს თვითეული ჩვენთაგანი უნდა ფლობდეს მართვის გარკვეული სისტემით რეგულირებულ უფრო მეტ ინფორმაციასა და რესურსს. ცოდნა ესაა განსაკუთრებული რესურსი, რომელიც მოითხოვს მკაფიოდ განსაზღვრულ მართვას, ეფექტურ მიწოდებასა და გამოყენებას.[9]

საზოგადოდ, ცოდნის ეკონომიკა ეფუძნება მაღალტექნოლოგიურ ინოვაციებს, მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების, პროდუქციისა და მომსახურების მატერიალიზაციას.

აღვნიშნავთ, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა ახლოსაა „ინფორმაციული საზოგადოების“ კონცეფციასთან. ხშირად, მათი სიახლოვე ვლინდება ცოდნის წარმოებაში, განაწილებასა და გამოყენებაში, თანამედროვე ეკონომიკაში, მისი განვითარების ტემპებსა და არსებული შეზღუდვების განსაზღვრაში.

ამგვარად, „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა“ გამოდის, როგორც ემპირიული ჰიპოთეზა თანამედროვე საზოგადოების საერთო თავისებურებებისა და ტენდენციების შესახებ. ამასთან, ცოდნა განიხილება (შეისწავლება), როგორც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინასწარი პირობა.

მსოფლიო ქვეყნების მოწინავე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეცნიერება და ინოვაცია გვევლინება არა მარტო როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მძლავრი ფაქტორი, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული ახალი ტიპის საზოგადოების საბაზო ელემენტი. ამასთან, გაითვალისწინება, რომ ცოდნის მიღება მუდმივად დაგროვებითი პროცესია. მეცნიერებასა და განათლებაში ჩადებული კაპიტალი უკუგებას მხოლოდ სტაბილურ ვითარებაში და გრძელვადიან პერსპექტივაში იძლევა. ამა თუ იმ ეტაპზე კვლევების დაფინანსების შემცირება მომავალში ნახტომისებურ კომპენსირებას არ იძლევა.

სწორედ ამიტომ, ამ სფეროში მოწინავე ქვეყანა-ლიდერები სამეცნიერო კვლევებსა და ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შექმნაში აბსოლუტურ თანხებს ყოველწლიურად განუწყვეტლივ ადიდებენ. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე დანახარჯების შეფარდებითი მაჩვენებლის მხრივ მოწინავეობს ისრაელი, რომლის დანახარჯები მშპ-ში 4,7%-ია. მოცემული მაჩვენებელი შვედეთში შეადგენს 3%-ს, იაპონიაში – 3,1%-ს, აშშ-ში – 2,7%-ს, ევროკავშირში – 1,9%-ს, ხოლო ჩინეთსა და ინდოეთში – 1,5%-ს.[10] ამ ქვეყნებში გრძელვადიან პერსპექტივაში გამოყენებით და ფუნდამენტურ კვლევებში წამყვან როლს სამეწარმეო სექტორი ასრულებს. ინოვაციურ განვითარებაზე საერთო-ეროვნული დანახარჯების უმეტეს ნაწილს ბიზნესი აფინანსებს, კერძოდ, საფრანგეთში – 61%-ს, შვედეთში – 75%-ს, იაპონიაში – 33%-ს, აშშ-ში – 25%-ს, ხოლო სამხრეთ კორეაში თითქმის – 50%-ს.[11]

საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ამ მიმართებით მხოლოდ კერძო სექტორის აქტიურობა საკმარისი არაა. ამიტომ სამეცნიერო კვლევების სფერო, ხშირად, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება ხდება. ამ მიზნით სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენება, სახელდობრ, სახელმწიფო დაფინანსებით კვლევითი ლაბორატორიების მოწყობა, არასახელმწიფოებრივ ლაბორატორიებში მომუშავე მეცნიერებისათვის სუბსიდიების გამოყოფა, კერძო სექტორში მეცნიერული ცოდნისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად საგადასახადო შეღავათების დაწესება ან სუბსიდიების გაწევა და ა.შ.

საბიუჯეტო სახსრების გამოყოფა სახელმწიფოებრივი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია. სწორედ ამ გზით ფინანსდება ეროვნული სამეცნიერო ხარჯების 20–50%. პრაქტიკულად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრულად ფინანსდება ფუნდამენტური მეცნიერებები უნივერსიტეტებში, ასევე შედარებით რთული და ძვირადღირებული ექსპერიმენტები კერძო სექტორში.

განვითარებულ ქვეყნებში ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას ხმარდება სამეცნიერო სექტორში დანახარჯების 20–22%. გარდა ამისა, კერძო სექტორში ინოვაციურ განვითარებას სახელმწიფო ასტიმულირებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: პროდუქციის თვითღირებულებაში ინოვაციური განვითარების ხარჯების ჩართვა; ამორტიზაციის დაჩქარებული ნორმებით სამეცნიერო მოწყობილობების

7 http:/eprits.lse.ac.uk/26657

8 Lane R.E. The Decline of Politics and Ideology in the Knowledgeable Society//American Sociological Review.2006. –Vol.31.-P. 649-662.

9 Michael G. Mimicopoulos.The Global Political Economy in the Knowledge Age. 44 p. unpan 1. Un.org/intradoc/ groups/ public/…/unpan024391.pdf

10 Мировая экономика: прогноз до 2020 г. Под ред. А. Дынкина. М., 2007, С., 90.

11 Иванова Н.М. Национальные инновационные системы. М., 2002, С., 58.

ცხრ. 1. მსოფლიო მოწინავე ათეული ქვეყანა ცოდნის ეკონომიკის ინდექსისა
და მისი პარამეტრების მიხედვით (2012)

რეი-ტინგი	ქვეყანა	ცოდნის ეკონო-მიკის ინდ-ექსი	ცოდნის ინდექსი	მათ შორის			
				ინსტი-ტუტები	ინოვა-ციები	გა-ნათ-ლება	საინფორმაციო კომუნიკაციები
1	შვედეთი	9,43	9,38	9,58	9,74	8,92	9,49
2	ფინეთი	9,33	9,22	9,65	9,66	8,77	9,22
3	დანია	9,16	9,00	9,63	9,49	8,63	8,88
4	ნიდერლანდი	9,11	9,22	8,79	9,46	8,75	9,45
5	ნორვეგია	9,11	8,99	9,47	9,01	9,43	8,53
6	ახ.ზელანდია	8,97	8,93	9,09	8,66	9,81	8,30
7	კანადა	8,92	8,72	9,52	9,32	8,61	8,23
8	გერმანია	8,90	8,83	9,10	9,11	8,20	9,17
9	ავსტრალია	8,88	8,98	8,56	8,92	9,71	8,32
10	შვეიცარია	8,87	8,65	9,54	9,86	6,90	9,20
68	საქართველო	5,19	4,49	7,28	5,15	4,61	3,72

მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოწერა; მიზნობრივი საგადასახადო შეღავათების გამოყენება; ინოვაციურ განვითარებაზე შეღავათიანი დაკრედიტება და მსხვილი პროექტების დაფინანსებაში წილობრივი მონაწილეობა; საწარმოს ან სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ინოვაციური განვითარების ორგანიზაციისათვის სახელმწიფო ქონების ან მიწის ნაკვეთის უსასყიდლოდან შეღავათიან პირობებში გადაცემა და სხვ.

ცოდნის ეკონომიკის განვითარების დონე მსოფლიო ქვეყნების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია. დღევანდელი მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3–5% ცოდნის ეკონომიკის რეალიზაციის პირობებში ცხოვრობს, კიდევ 15% – პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, დანარჩენი – 70% ტრადიციული ეკონომიკის ქვეყნებში (მარცვლეულისა და ბოსტნეულის კულტურები, მეხილეობა, მესაქონლეობა).[12]

12 Богомолов О. Т. Моя летопись переходного

ცხრ. 2. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი პარამეტრები
მსოფლიო რეგიონების მიხედვით (2012)

რეიტ-ინგი	რეგიონი	ცოდნის ეკონო-მიკის ინდექსი	ცოდნის ინდექსი	მათ შორის			
				ინსტი-ტუტები	ინოვა-ციები	განათ-ლება	საინფორმა-ციო კომუნიკა-ციები
1	ჩრდილოეთ ამერიკა	8,80	8,70	9,11	9,45	8,13	8,51
2	ევროპა და ცენ-ტრალური აზია	7,47	7,64	6,95	8,28	7,13	7,50
3	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი	5,32	5,17	5,75	7,43	3,94	4,14
4	ლათინური ამერიკა	5,15	5,31	4,66	5,80	5,11	5,02
5	მსოფლიო	5,12	5,01	5,45	7,72	3,72	3,58
6	ახლო აღ-მოსავლეთი და ჩრდილოეთ აფ-რიკა	4,74	4,51	5,41	6,14	3,48	3,92
7	სამხრეთ აზია	2,84	2,77	3,05	4,23	2,17	1,90
8	აფრიკა	2,55	2,43	2,91	3,95	1,44	1,90

მთლიანობაში, მსოფლიო მოსახლეობის 30% ცხოვრობს ამა თუ იმ ხარისხის განვითარებულ ქვეყანაში და აქვს ცხოვრების შედარებით მაღალი დონე. უმთავრესად ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მეცნიერების, განათლების, საერთო ცოდნის ბაზაზე ვითარდება, სადაც დიდი მოცულობის ინვესტიციები განათლებაში ხორციელდება. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებითაც დასტურდება, კერძოდ, მსოფლიო მშპ-ის 80% იწარმოება 24 ქვეყანაში, სადაც პლანეტის მოსახლეობის 14,5% ცხოვრობს, 15% მოდის 63 ქვეყანაზე 31,5% მოსახლეობით და მშპ-ის მოცულობის მხოლოდ 5% იმ 45 ქვეყანაზე, რომელთა მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 55%-ია.[13]

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკურ სისტემაში სწრაფი ეკონომიკური ზრდა განათლებაში მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების შედეგად განხორციელდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-ან წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინვესტიციები მეცნიერებასა და განათლებაში ეკონომიკური განვითარების ტემპებს, დაახლოებით, 44%-ით აჭარბებს. დღეს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და 80%-ს შეადგენს. თუმცა, განათლებიდან მიღებული შემოსავლიანობისა და ეფექტურობის დონის განსაზღვრა საკმაოდ რთულია.[14] შემოსავლების დონის ზრდაზე განათლებისა და ცოდნის მნიშვნელობა შეიძლება განვითარებული ქვეყნების მაგალითზე განვიხილოთ.

დღეისათვის ცოდნის ეკონომიკის ინდექსის საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი შეადგენს 5,12. აღვნიშნავთ, რომ 2000—2012 წლებში შეიმჩნეოდა ცოდნის ეკონომიკისა და ცოდნის ინდექსების შემცირება. მაგ., 2000 წელს ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიოში იყო 5,95. ამ მაჩვენებლის კლება მისი შემადგენელი კომპონენტების შემცირებამ გამოიწვია, სახელდობრ, ამ პერიოდში ცოდნის ინდექსი 6,06-დან 5,01-მდე, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსი 6,61-დან 4,45-მდე, განათლების ინდექსი 3,89-დან 3,72-მდე, ინოვაციების ინდექსი 7,75-დან 7,72-მდე, ხოლო საინფორმაციო-კომუნი-

времени. М., 1999, С. 345.

13 იქვე.

14 http://economuch.com/page/trudsotcio/ist

ცხრ. 3. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი პარამეტრებიშემოსავლების ჯგუფების მიხედვით (2012)

რეიტ-ინგი	შემოსავლების ჯგუფი	ცოდ-ნის ეკონო-მიკის ინდ-ექსი	ცოდნის ინდექსი	მათ შორის			
				ინსტი-ტუტები	ინოვა-ციები	გა-ნათლე-ბა	საინფორ-მაციო კომუნიკა-ციები
1	მაღალი შე-მოსავლების	8,60	8,67	8,39	9,16	8,46	8,37
2	საშუალოზე მაღალი შემოსავ-ლების	5,10	5,07	5,18	6,21	4,72	4,28
3	საშუალოზე დაბალი შემოსავ-ლების	3,42	3,45	3,32	4,90	2,84	2,62
4	დაბალი შე-მოსავლების	1,58	1,58	1,61	2,13	1,54	1,05

კაციური ტექნოლოგიების ინდექსი 6,63-დან 3,58-მდე შემცირდა.[15]

ანალოგიური ტენდენცია შეიმჩნეოდა ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. სახელდობრ, ამ რეგიონში ცოდნის ეკონომიკის ინდექსი 2000 წელს იყო 7,56, ხოლო 2012 წელს – 7,47, მათ შორის, ცოდნის ინდექსმა 7,84-დან 7,64-მდე, განათლების ინდექსმა 7,38-დან 7,13-მდე, ინოვაციების ინდექსმა 8,38-დან 8,28-მდე, საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინდექსმა 7,78-დან 7,50-მდე დაიკლო, ხოლო ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსმა 6,72-დან 6,95-მდე მოიმატა.[16]

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ცოდნის ეკონომიკის ინდექსით პირველ სამეულშია შვედეთი, ფინეთი და დანია. ამასთან, შვედეთი პირველ პოზიციას იკავებს ცოდნის ინდექსით, ინოვაციებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინდექსების მიხედვით, თუმცა, ჩამორჩება ფინეთს ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსით (იხ. ცხრილი 1).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შვედეთმა ყველაზე მაღალი დონე აჩვენა და პირველი პოზიცია დაიკავა ცოდნის ეკონომიკის ინდექსით (9,43) და ცოდნის ინდექსით (9,38). ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსით მოწინავეა სინგაპური (9,66), ინოვაციების ინდექსით – შვეიცარია (9,86), ხოლო საინფორმაციო-კომუნიკაციური ინდექსით – ბახრეინი (9,54).[17]

ცოდნის ეკონომიკის ინდექსით, მსოფლიოს 10 მოწინავე ქვეყნიდან 7 (ანუ 70%) ევროპული ქვეყანაა, ხოლო 7 (ანუ 70%) მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე მცირე სახელმწიფო. სამწუხაროდ, საქართველოს პოზიცია საკმაოდ მოკრძალებულია (68-ე ადგილი). საქართველოს ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. იმავდროულად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოვრჩებით ესტონეთს, ლიტვას, ლატვიას, რუსეთსა და უკრაინას. ამ ინდიკატორის მიხედვით ახლოს ვართ სამხრეთ აფრიკასთან, ტაილანდთან, პანამასთან, თურქეთთან, სომხეთთან.

საინტერესო სურათს იძლევა ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიო რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი 2). ამ მხრივ ლიდერობს ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და ცენტრალური აზია, მე-3 და მე-4 პოზიციებს იკავებენ აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი, ლათინური ამერიკა. საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან შედარებით უარესი დონე აქვთ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონს, სამხრეთ აზიასა და აფრიკას.

გარკვეული კორელაციური კავშირი არსებობს ცოდნის ეკონომიკის ინდექსსა და შემოსავლებს შორის. კერძოდ, ცოდნის ეკონომიკის მაღალი დონე მაღალ შემოსავლებს განაპირობებს, და პირიქით (იხ. ცხრილი 3).

ცოდნის ეკონომიკის ფორმირებასა და განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანისეულ

15 http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp#c45

16 იქვე.

17 იქვე.

ცხრილი 4. ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში ადამიანისეული კაპიტალის წილი XXI საუკუნის დასაწყისში

ქვეყანა	საერთო მოცულობა, ტრლნ დოლარი	ადამიანისეული კაპიტალი, %-ობით		
		ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრესთან	მსოფლიო დონესთან	აშშ-ის დონესთან
მსოფლიო	365	66	100	384
"დიდი შვიდეული" და ევროკავშირი	215	78	59	226
მათ შორის:				
აშშ	95	77	26	100
"ოპეკის" ქვეყნები	45	47	12	47
დსთ-ს ქვეყნები	40	50	11	42
მათ შორის:				
რუსეთი	30	50	8	32
სხვა ქვეყნები:				
ჩინეთი	25	77	7	26
ბრაზილია	9	74	2	9
ინდონეზია	9	75	2	9
მექსიკა	8	77	2	8
ინდოეთი	7	58	2	7
პაკისტანი	4	80	1	4

კაპიტალს ეკუთვნის.[18] მაგრამ ადამიანისეული კაპიტალი და შრომითი რესურსი ერთი და იგივე არაა. მათ შორის განსხვავდება არსებითია. შრომითი რესურსებში ყველა ადამიანი იგულისხმება თავიანთი კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომით. ადამიანისეული კაპიტალი კი გაცილებით ფართო ცნებაა და შრომით რესურსებთან ერთად მოიცავს განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანმრთელობაში, უსაფრთხოებაში, ცხოვრების დონეში დაგროვილ კაპიტალს და ინტელექტუალური შრომისა და გარემოს შეფასების იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც ადამიანისეული კაპიტალის ეფექტურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

ადამიანისეული კაპიტალი ესაა საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების ინტენსიური, სისტემატური და რთული საწარმოო ფაქტორი, რომელიც მოიცავს კრეატიულ შრომით რესურსებს, ინოვაციურ სისტემას, მაღალმწარმოებლურ ცოდნას, პროფესიული ინფორმაციის უზრუნველყოფის სისტემას, ინტელექტუალური და ორგანიზაციული შრომის ინსტრუმენტებს, ცხოვრების დონეს და ინტელექტუალურ საქმიანობას, რომელიც ადამიანისეული კაპიტალის ეფექტურ ფუნქციონირებას განაპირობებს. უფრო კონკრეტულად, ადამიანისეული კაპიტალი ესაა კრეატიული პროფესიონალები, ინტელექტი, ცოდნა, ხარისხიანი და მაღალმწარმოებლური შრომა და ცხოვრების მაღალი ხარისხი.

ისტორიულად, ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი განსაზღვრავდა და დღესაც ძირითადად განსაზღვრავს მსოფლიო ცივილიზაციასა და ცალკეული ქვეყნის განვითარებას. სწორედ ამიტომ, ეროვნული ადამიანისეული კაპიტალი XX და XXI საუკუნეებში ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების მთავარი ინტენსიური ფაქტორი გახდა. აღნიშნულს ადასტურებს სტატისტიკური მონაცემებიც. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში ეროვნული სიმდიდრის თითქმის ნახევარი, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში 70–80% ადამიანისეული კაპიტალია.

თუმცა, განვითარების არაერთგვაროვანი ქვეყნების შემთხვევაში გარკვეული სირთულეებია ადამიანისეული კაპიტალის ღირებულების შეფასებაში. სუსტად განვითარებული და განვითარებული ქვეყნების ადამიანისეულ კაპიტალს ერთეულ კაპიტალზე არსებითად განსხვავებული მწარმოებლურობა აქვს, ასევე განსხვავებულია განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხიც. ეროვნული ადამიანისეული კაპიტალის თავისებურება მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიულმა განვითარებამ განაპირობა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, მსოფლიო ადამიანისეული კაპიტალი 365 ტრილიონ დოლარია. აქედან 95 ტრილიონი დოლარი აშშ-ზე მოდის (მსოფ-

18 ცნება "ადამიანისეული კაპიტალი" (Human Capital) პირველად გამოჩნდა XX ს. მე-2 ნახევარში ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტების თეოდორ შულცისა და ჰენრი ბეკერის სამეცნიერო შრომებში.

ლიო ადამიანისეული კაპიტალის 26%), რაც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 77%-ია. რუსეთისათვის ეს მაჩვენებელი 30 ტრილიონი დოლარია, ჩინეთისათვის — 25, ბრაზილიისათვის — 9, ხოლო ინდოეთისათვის — 7 ტრილიონი დოლარი. "დიდი შვიდეულისა" და ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ადამიანისეული კაპიტალის 59%, რაც მათი ეროვნული სიმდიდრის 78%-ია. ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანისეული კაპიტალი ეროვნულ სიმდიდრეზე მეტია (გამონაკლისია "ოპეკის" ქვეყნები).

ადამიანისეული კაპიტალის პროცენტულ წილზე არსებით გავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსებიც (იხ. ცხრილი 4).

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, მსოფლიო ადამიანისეული კაპიტალის ძირითადი წილი განვითარებულ ქვეყნებშია კონცენტრირებული. აღნიშნული იმან განაპირობა, რომ ამ ქვეყნებში ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებს.

ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკური კატეგორია თანდათანობით ჩამოყალიბდა. პირველ ეტაპზე მის შემადგენლობაში ითვალისწინებდნენ აღზრდას, განათლებას, ცოდნას, ჯანდაცვას. ამასთან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანისეული კაპიტალი განვითარების მხოლოდ სოციალურ ფაქტორად, ანუ ეკონომიკური ზრდის თეორიიდან გამომდინარე, დანახარჯების ფაქტორად მიაჩნდათ, რადგან აღზრდისა და განათლების სფეროში ინვესტიციებს არამწარმოებლურ დანახარჯებად თვლიდნენ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ადამიანისეული კაპიტალისა და განათლებისადმი დამოკიდებულება ძირეულად შეიცვალა.

სწორედ ინვესტიციებმა განათლებასა და მეცნიერებაში უზრუნველყო დასავლეთი ცივილიზაციის (ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა) წინმსწრები განვითარება ჩინეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნებთან შედარებით. გასულ საუკუნეებში ცივილიზაციის განვითარების კვლევა ადასტურებს, რომ ადამიანისეული კაპიტალი მაშინაც იყო განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც რეგიონის წარმატებას თუ წარუმატებლობას განსაზღვრავდა.

გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე გლობალურ ისტორიულ შეჯიბრში დასავლეთის ცივილიზაციამ უფრო ძველი ცივილიზაცია სწორედ ადამიანისეული კაპიტალის სწრაფი ზრდის შედეგად დაამარცხა. XVIII საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპამ ჩინეთსა და ინდოეთს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ-ს მიხედვით 1,5-ჯერ, ხოლო წიგნიერების (წერა-კითხვის) მაჩვენებლით 2-ჯერ გაუსწრო. თავდაპირველად ეს გარემოება, შემდეგ დამატებული ეკონომიკური თავისუფლება, მოგვიანებით კი, პლუს დემოკრატია გახდა ევროპელებისა და ამერიკელების ეკონომიკური წარმატების მთავარი ფაქტორი.[19]

ეკონომიკის ზრდაზეAადამიანისეული კაპიტალის გავლენა სამაგალითოა იაპონიის შემთხვევაში. ამომავალი მზის ქვეყანაში, რომელიც საუკუნების განმავლობაში იზოლაციის პოლიტიკას ახორციელებდა, ადამიანისეული კაპიტალი, მათ შორის განათლების დონე და სიცოცხლის ხანგრძლივობა ყოველთვის მაღალი იყო. ამიტომ ამ მაჩვენებლების სასტარტო დონით და XX საუკუნის 50-ანი წლების საგანმანათლებლო სახელმწიფო პროგრამის დახმარებით, იაპონია სწრაფი ტექნოლოგიური გარღვევისათვის კარგად მომზადებული აღმოჩნდა.

იუნესკოს ყოველწლიურად ატარებს განათლების მონიტორინგს და ადგენს ქვეყნების განათლების განვითარების ინდექსს. 2010 წლის მონაცემებით, მსოფლიო ქვეყნების ტოპ-ხუთეული ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5. იუნესკოს რეიტინგი განათლების დონის მიხედვით (2010)

	ქვეყანა	განათლების განვითარების ინდექსი	დაწყებითი განათლების მომცველობა	ზრდასრულთა წერა-კითხვის დონე	გენდერული ინდექსი
1	ნორვეგია	0,995	0,987	1,000	0,995
2	იაპონია	0,994	0,998	0,992	0,997
3	გერმანია	0,994	0,998	1,000	0,993
4	ყაზახეთი	0,993	0,990	0,996	0,992
5	იტალია	0,992	0,994	0,989	0,991

განათლების სისტემის შეფასების მეორე მაჩვენებელია ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ინდექსი, რომელსაც გაეროს განვითარების პროგრამა ("პროონ") ყოველწლიურად ანგარიშობს. ადამიანისეული კაპიტალის მაღალი დონე გულისხმობს ხანგრძლივ და ჯანმრთელ ცხოვრებას (კომპონენტი "სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა"), აუცილებელი ცოდნის მიღებას (კომპონენტი "განათლება") და ღირსეული ცხოვრებისათვის რესურსების ხელმისაწვდომობა (კომპონენტი "ცხოვრების დონე").

მოცემულ რეიტინგში მოწინავეობს ნორვეგია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, აშშ და ირლანდია. საქართველოს პოზიცია ამ პარამეტრითაც მოკრძალებულია (74-ე ადგილი) და ჩამოვრჩებით ბელორუსს, რუსეთს, ყაზახეთსა და უკრაინას (იხ. ცხრილი 6).

ადამიანისეულ კაპიტალთან მიმართებაში საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. ეფექტურობის ხარისხის მიხედვით, იგი არსებობს დადებითი (შემქმნელი) და უარყოფითი (დამანგრეველი).

უარყოფითი ადამიანისეული კაპიტალი საზოგადოებისათვის უსარგებლოა და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, საზოგა-

19 Корчагин Ю. Человеческий капитал - интенсивный социально-экономический фактор развития личности, экономики, общества и государственности. М., გვ. 10.

ცხრილი 6. ზოგიერთი ქვეყნის პოზიცია გაეროს განვითარების პროგრამის (“პროონ”) რეიტინგის მიხედვით (2010)

ადამიანისეული კაპიტალის დონე:							
ძალიან მაღალი		მაღალი		საშუალო		დაბალი	
ქვეყანა	ადგილი	ქვეყანა	ადგილი	ქვეყანა	ადგილი	ქვეყანა	ადგილი
ნორვეგია	1	ბელორუსი	61	თურქმენეთი	87	კენია	128
ავსტრალია	2	რუსეთი	65	ჩინეთი	89	ნიგერია	142
ახ. ზელანია	3	ყაზახეთი	66	უზბეკეთი	102	ავღანეთი	155
აშშ	4	უკრაინა	69	ყირგიზეთი	109	ნიგერი	167
ირლანდია	5	საქართველო	74	ტაჯიკეთი	112	ზიმბაბვე	169

დოებისა და პიროვნების განვითარებას. განათლებასა და აღზრდაში განხორციელებული ყოველი ინვესტიცია არ ადიდებს ადამიანისეულ კაპიტალს. გამოუსწორებელი დამნაშავე, ნარკომანი, დაქირავებული ქილერი — საზოგადოებისათვის დაკარგული ინვესტიციაა. უარყოფით ადამიანისეულ კაპიტალს აძლიერებს მექთამეები, უსაქმურები, ქურდები...

უარყოფითი ადამიანისეული კაპიტალი ერის მენტალიტეტის ნეგატიური მხარეების, დაბალი კულტურისა და შრომის ეთიკის ბაზაზე ყალიბდება. ამ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფო მოწყობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების განუვითარებლობას, ფსევდოაღზრდას, ფსევდოგანათლებას, ფსევდომეცნიერებას, ფსევდოცოდნას, ფსევდოკულტურას... უარყოფითი ადამიანისეული კაპიტალის დაგროვებაში მნიშვნელოვანია ერის აქტიური ნაწილის — ელიტის როლი, რადგან სწორედ ელიტა განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების პოლიტიკასა და სტრატეგიას, ერი მიჰყავს პროგრესის ან სტაგნაციის, ან რეგრესიისაკენ.

უარყოფითი ადამიანისეული კაპიტალი დამატებით ინვესტიციებს საჭიროებს, რადგან წარსულში დაგროვილი უარყოფითი კაპიტალის კომპენსაციას მოითხოვს.

დასკვნა:

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მსოფლიო ინოვაციური განვითარების ფონზე საქართველოს პოზიცია ძალზე არასახარბიელოა. არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

ზოგადად, აუცილებელია ინოვაციური განვითარებისათვის ეროვნული საინოვაციო ინფრასტრუქტურის სრულყოფილი სისტემის შექმნა, რომელშიც გაითვალისწინება განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების, საინოვაციო-ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნოპარკების, ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოლოგიების სატრანსფერო ცენტრებისა და სხვათა დაარსება.

გარდა ამისა, საჭიროა სამეცნიერო, ეკონომიკური და სამეწარმეო გარემოს ინსტიტუციონალური გარდაქმნა, სახელდობრ:

1. აკადემიური და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურების მჭიდრო ინტეგრაცია. ამ მიზნით, მსოფლიო დონის უნივერსიტეტების ფართო ქსელის შექმნა, რომელიც გახდება ფუნდამენტური ცოდნის ძირითადი მწარმოებელი კერა. მსოფლიო დონე ნიშნავს იმას, რომ ამ უნივერსიტეტებში რეგულარულად იმუშავებენ სხვადასხვა ქვეყნის პროფესორები, ისინი ერთობლივად შეასრულებენ მნიშვნელოვან ინოვაციურ პროექტებს, მოხდება მოწინავე სტუდენტების ურთიერთგაცვლა, პროფესორების ანაზღაურება გაუტოლდება მსოფლიო დონეს, აღარ იქნება „გონების გადინების“ პრობლემა და სხვ.;

2. ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების გაძლიერება, კერძოდ, ინოვაციური საქმიანობის შეღავათიანი დაკრედიტება, მსხვილ პროექტებში სახელმწიფოს წილობრივი დაფინანსება, საბანკო სისტემის, საფინანსო ბაზრების, დაპატენტებისა და დაზღვევის სფეროების განმტკიცება-სრულყოფა;

3. მცირე ბიზნესის, როგორც ინოვაციური განვითარების მთავარი გენერატორის, განვითარებისათვის მიმზიდველი ეკონომიკურ-სამართლებრივი და კულტურული გარემოს შექმნა;

4. სრულყოფილი კონკურენტული ატმოსფეროს ფორმირება;

5. ეროვნული მანქანათმშენებლობის პოტენციალის ამაღლება, რადგან ამ დარგის პროდუქცია ახალ ტექნოლოგიებსა და კვლევებში სამეცნიერო ცოდნის მატერიალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია;

6. მეწარმეთა „გონების გარდაქმნა". მათ უნდა გაიგონ, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი დამთავრდა, რომ უკვე მოვიდა დრო აითვისონ ბიზნესის წარმართვის თანამედროვე ცივილური მეთოდები, უარი თქვან მოგების მაცდურ წუთიერ მიღებაზე და მთავარი ყურადღება გადაიტანონ წარმოების მოდერნიზაციასა და ზრდაზე, პროდუქციის ასორტიმენტის გამუდმებით განახლებასა და მოსახლეობის მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

7. ინვესტიციები მოსახლეობის მენტალიტეტის დადებითი მიმართულებით შეცვლაში, კულტურაში, რაც განსაზღვრავს ადამიანისეული კაპიტალის ეფექტურობას;

8. ინვესტიციები მოსახლეობის ინსტიტუციურ მომსახურებაში, რაც ხელს შეუწყობს ადამიანთა შემოქმედებითი და პროფესიული შესაძლებლობების გახსნასა და რეალიზაციას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

9. არაფორმალური ინვესტიციების (თვითგანათლების, თვითშეგნების) გადიდება, თვითგანვითარება, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Богомолов О. Т. Моя летопись переходного времени. М., 1999, С. 345.

2. Всемирный доклад ЮНЕСКО по мониторингу образования для всех, 2010 год.

3. Гаврилова Т., Григорьев Л. Бизнес держится на знаниях, сам того не зная // Ж. «Персонал-Микс», N2, 2004.- с.107-112.

4. Иванова Н.М. Национальные инновационные системы. М., 2002, С. 58.

5. Корчагин Ю. Человеческий капитал _интенсивный социально-экономический фактор развития личности, экономики, общества и государственности. М., С. 10.

6. К обществам знания. Всемирный Доклад ЮНЕСКО. Изд-во ЮНЕСКО, М., 2005, 239 с.

7. Мировая экономика: прогноз до 2020 г. Под ред. А. Дынкина. М., 2007, С., 90.

8. Нестеров Л., Аширова Г. Национальное богатство и человеческий капитал. // ВЭ, 2003, № 2; Экономическая теория. / Под ред. Николаевой И.П. - М.: Юнити, 2004. - С. 380.

9. О необходимости повышения уровня человеческого капитала в России. http:/www.nasledie.ru

10. Стриженко А. А. Роль информационно-коммуникационных технологий в развитии международного бизнеса. М., 2007. С. 44.

11. Хохлов Ю. Е. Шапошников С. Б. Экономика, основанная на знании: социально-экономические тенденции и политические цели /http://emag.iis.ru/arc/infosoc/emag.nsf/f0c3e40261f64c5b432567c80065e37

12. David Parlby, 2000. Knowledge Management Research Report KPMG Consulting: http://www.kpmg.co.uk/

13. Lane R.E. The Decline of Politics and Ideology in the Knowledgeable Society // American Sociological Review. 1966. – Vol. 31. – P.649-662.

14. Michael G. Mimicopoulos.The Global Political Economy in the Knowledge Age. 44 p. unpan 1. Un.org/intradoc/ groups/public/…/unpan024391.pdf

15. www.sch1929.edusite.ru/

16. http:/eprits.lse.ac.uk/26657

17. http://economuch.com/page/trudsotcio/ist

18. http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp#c45